ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№4, 24 აპრილი, კვირა, 2022 წელი

ეროვი ლექსი

* * *

ეს გაზაფხული...
რას მაგონებს ეს გაზაფხული...
ხევის პირს მდგარი
საალერსოდ მოვუხმობ ნიავს,
განრიდებია დედამიწას
ძალა ავსული,
ზეთის ხილის რტო
მტრედებს ცისკენ ნისკარტით მიაქვთ.
ეს გაზაფხული
მივიწყებულ ჭრილობებს მიწვდა,
გადახნულ ახოს
ოხშივარი ასდის ნისლებად,
მკერდგაღეღილი ჭაბუკივით
მომიხმობს მიწა,
ცა კი მზის სხივებს
სიყვარულის მტყორცნის ისრებად...
და ვდგავარ ცის და
დედამიწის ძახილის შუა,
ეს გაზაფხული
სურვილების ნაზ ბადეს მიქსოვს,
სულში გავარდდა,
სიყვარული ვგრძნობ, ისევ მოვა,
ო, ღმერთო,
შენგან შენდობას ვითხოვ...

ეროვი ბურნაძე

პოეზია

თათია ბოიკარელიძე

* * *

ჩემი თვალები ჰგვანან უქრობელ
ვარსკვლავებს, როცა შენს სახეს ჭვრეტენ
და თუ ოდესმე ჩამოუქროლოს
ჩემმა არყოფნამ ამ სახლის კედლებს, –
თუ გინდა კარი ამოუქოლე,
თუ გინდა თქვი, რომ იყო სიზმარი,
მე დაგიჯერებ და ამ უქრობელ
ვარსკვლავებს ციდან გამოგიგზავნი.

* * *

აქ, ამ საკანში – სხეული რომ ჰქვია სახელად,
ყველა ფუჭი და უსარგებლო ნივთი აწყვია:
გული, რომელიც ჯერ მრყვნიდა და მერე მამხელდა,
თვალი, რომელიც ყოვლისამსხლეტ ჯავშნად დაწყვილდა.
გონი, რომელიც ვეღარც ურევს, ვეღარც ალაგებს
ყოფნის ყინულში ჩაკირული ფიქრის ხვეულებს,
მზერა, რომელმაც ჯერ ტაძრად და მერე სანაგვედ
მოიპირკეთა ეს საკანი – ჩემი სხეული.
აქ, ამ საკანში, რომლის კარსაც ყველა აღებდა,
ვინც სიყვარულის აორთქლებად ღრუბელში იწვა,
აწყვია ყველა ფუჭი ვნება, რომლის ნაღებიც
სდის ამ სხეულის ზედაპირებს მტვერად და მიწად.
აქ ყრია ძვლები – დამსხვრეული ჩემი სიმტკიცე,
აქა დგას სისხლი – შედედებულ ტრფობათა გუბე,
აქ, ამ საკანში ისე ვწვები, ისე ვიღვიძებ,
არც კი შევარხევ მის დარაბებს – თვალების გუგებს.
ამ საკანს იცავს ხსოვნის მყიფე ჯავშანი – კანი,
რომელსაც შენი ნათითური სევდა აჩნია,
რომელიც, ერთი უარყოფით რომ მოგეკალი,
შენთვის დაიმსხვრა და მკვლელად შენ გამოგარჩია.
აქ, ამ საკანში სამუდამოდ გამოკეტილი,
ყოველდღე ვსახავ გეგმას მისი კარის გატეხვის,
მაგრამ აქვეა ჩემთვის შენი ერთი კეთილი
და იშვიათი გამოხედვის ჩამონატეხი,
რომელიც ტყვეთა ცხოვრებაში მხსნელი ფიქრის და
აღსრულებული სიყვარულის ანთებს ნაპერწკალს,
რომელიც მყიფე იმედების მირაჟს მიქმნის და
მავიწყებს წამით, რომ ღმერთები გამინაწყენდნენ.
აქ, ამ საკანში – სხეული რომ ჰქვია სახელად,
უსახურ ნივთად გარდაქმნილი წევს ჩემი სული,
რომელსაც შენი სიყვარული მაინც ახელებს,
რომელსაც მაინც გლეჯს და კაწრავს ეს სიყვარული...
აქ, ამ საკანში – რომელსაც შენს ტაძრად ვაგებდი,
თუმცა ხელთ შემრჩა უსახური ტრფობის სარდაფი,
ჩემი გახრწნილი შეგრძნებები ყრია ნაგვებად,
შიგ რომ უბრწყინავთ უარყოფა – შენი სადაფი...
შიგ რომ ულპებათ სიყვარული – ჩემი ზურმუხტი,
უელავთ სევდა და ტკივილი მარგალიტებად,
მასწავლე მაინც, ამ მკაცრ საკანს როგორ ვუმუხთლო,
ჩამომითვალე თვითმკვლელობის მაგალითები...

* * *

ჩემი ლამაზი სიყვარული მოკვდა, სიკვდილო,
ჩემი ლამაზი სიყვარული ჟამმა დაახრჩო.
მოდი, ტკივილის ქიმზე ერთად შევდგეთ, ვიკივლოთ,
მოდი, მომხსენი უნუგეშო ყოფნის ხარაჩო...
ჩემი აღსავსე სიყვარული მოკვდა, სიკვდილო,
ჩემი აღსავსე სიყვარული ჟამმა დაცალა...
იქნებ შენ მაინც შემიფარო, შენ შემიკედლო,
იქნებ შენ მაინც ჩამაწვინო მის თბილ ნაცარში.
ჩემი უმწეო სიყვარული მოკვდა, სიკვდილო,
ჩემი უმწეო სიყვარული ჟამმა დალახვრა.
იქნებ შენ მაინც მომეშველო, გამომიკვლიო,
მაგ ცივ ეკრანზე როგორ შევძლო მისი დანახვა.
ჩემი უჟამო სიყვარული მოკვდა, სიკვდილო,
ჩემი უჟამო სიყვარული ჟამმა წამართვა.
შენს მტკიცე ყელზე იქნებ მძივად ჩამომიკიდო,
ან სამაჯურად, ან რაც გსურდეს, იგი დამმართო.
ჩემი ლამაზი სიყვარული მოკვდა, სიკვდილო,
ჩემი ლამაზი სიყვარული ჟამით განქარდა,
ჩემი ლამაზი სიყვარული მოკვდა, სიკვდილო,
შენ ხომ მაინც სცნობ შენიან ხმას, მოდი, აქა ვარ...

* * *

მასწავლე, როგორ ვთარგმნო ტკივილი,
რანაირად ვთარგმნო შიში, სასოწარკვეთა –
ჩემი ღატაკი, მშობლიური სულის ენიდან
შენი უცხო სულის ენაზე,
რათა მიხვდე, რასაც ნიშნავს ეს სიყვარული.
არადა, როგორ ბეჯითად და გულისყურით ვსწავლობდი
მაგ უცხო შეგრძნებებს,
ჩემს მშობლიურ შეგრძნებებთან ვაწყვილებდი, ვუსადაგებდი,
მაგრამ ერთ წამში მიცვდებოდნენ მნიშვნელობები,
რადგან თარგმანში დაკარგულებს არ გვწყალობს ბედი.
მასწავლე, როგორ გადმოგითარგმნო
ეს უცვეთელი ტკივილები,
ეს უცვეთელი შიშები და
უცვეთელი სასოწარკვეთა
ჩემი სულის ენიდან ისე,
რომ ზუსტად მიხვდე, რასაც ნიშნავს სიყვარული –
ათასგვარად რომ ითარგმნება,
მაგრამ ვერცერთ მნიშვნელობას რომ ვერ ითავსებს.
მასწავლე, როგორ ვთარგმნო იგი,
ან როგორ მოვკლა ღალატი,
ვისთანაც გინდა, აიშალე,
ვისთანაც გინდა, დაიხლართე.
გინდა, იყავი ქარი,
გინდა – ძაფის გორგალი,
მაგრამ ნურასდროს გაბედავ და
ეტყვი ჩემს სიტყვებს,
მაგრამ ნურასდროს გაბედავ და
ეტყვი ჩემს სიტყვებს,
მაგრამ ნურასდროს გაბედავ და
ეტყვი ვინმეს ჩემს შეთქმულ სიტყვებს,
რომლებშიც ჩვენი სიყვარული ვშვი და ვზარდე,
ვშვი და მოვკალი...
ვისთანაც გინდა, შედი,
შეუშვი, ვინც მოგინდეს, ან მოუნდე,
გინდა, იყავი ფარი,
გინდა – მისი საფარი,
მაგრამ ნურასდროს ეტყვი
ჩემს სიტყვებს,
მაგრამ ნურასდროს გაბედავ და
ეტყვი ჩემს სიტყვებს,
მაგრამ ნურავის ნუ გაანდობ ჩემს პირმშო სიტყვებს,
რომლებშიც ვზარდე სიყვარული,
მერე დავფარე...
ახლა შენ მათი საფლავი ხარ,
მე – მესაფლავე.
რაც გინდა, ანდა, რაც არ გინდა, თუ როგორც გინდა,
ვინც გინდა, ანდა, ვინც არ გინდა, თუ ვისიც გინდა...
ოღონდ ნურავის ეტყვი ჩემს სიტყვებს,
ოღონდ ნურასდროს გაბედავ და ეტყვი ჩემს სიტყვებს,
ნურავის ეტყვი ჩემს უხრწნელ სიტყვებს,
რომლებშიც ჩვენი სიყვარული ვშვი და დავფალი...
სიტყვები მკვდარი ჩიტებია,
მკვდარი სიტყვები ჩიტებია,
თბილ სამარეებს მოძებნიან,
თუ გაცივდი.
საითაც გინდა, იქით წადი,
საითაც გინდა, გაიხედე,
ოღონდ ნურავის ნუ გაანდობ
სიტყვებს, რომლებიც მე დამცვივდა,
სიტყვებს, რომლებიც მე დამცილდნენ
და მოაშურეს შენს პალატებს...
სიტყვები მკვდარი ჩიტებია,
მათ შეუძლიათ იქცნენ წყევლად.
მკვდარი სიტყვები ჩიტებია,
შეუძლიათ სიყვარული აქციონ წყევლად...
შეუძლიათ –
თუ სხვას ეტყვი,
თუ მიღალატებ!

მწერლები ხაშურიდან

სურამისა და ხაშურის სიამაყე

გამოჩენილი ქართველი მწერალი დავით სულიაშვილი სურამში ცხოვრობდა. აქ ქმნიდა თავის მშვენიერ მოთხრობებს, აქ ერკინებოდა სიტყვას. მისი კალამი საოცარი სურნელით აცოცხლებდა სურამის კოლორიტს:

,,ზამთარში, როცა ცის კიდური მთების მწვერვალებს ტყვიისფრად დააწვება და მიდამოს სარქველივით დაეხურება, როცა გაშიშვლებული ხის ტოტები თეთრი სუდარით შეიმოსება და ზეწარში გახვეულ ხელებს სივრცეში აღაპყრობს, როცა გაყუჩებულია გარემო და მხოლოდ დათოვლილ ტოტებზე ჩიტების გადაფრენა არღვევს მდუმარებას, – მძინარე სოფელს ემსგავსება მაშინ სურამი. სურამის ციხე ახლა უფრო მაღალია, უფრო ლამაზი, მედიდური, პატარძალივით თეთრი ლეჩაქით შებურვილი, თეთრი კაბით შემოსილი, ამაყად აზიდულა იგი დაბალი ქოხ-მახების ზევით... იხარე, გულო ჩემო, უმღერე მას, გიყვარდეს იგი, მსახურებდე მხოლოდ მას... დიდება შენ და გამარჯვება მარადისი. ახლა, როცა მშობლიური მთები კვლავ მიწვევენ თავის კალთებზე დასასვენებლად, როცა შენი დედობრივი ალერსი კვლავ ტკბილ იმედს აღმიძრავს გულში, რა ამაყი და ძლიერი ვარ, დიდებულო ჩემო! და ვფიცავ შენს ფაქიზ გულს, ვფიცავ შენს მაღალ შუბლს, მორაკრაკე ნაკადულებით დასერილს, შენს სპეტაკ მდელოს, მობიბინე ყანებით დამშვენებულს, რომ შენს ბედნიერებას შევწირო ჩემი სიცოცხლე... ვფიცავ საიდუმლოებით მოცულ შენს გმირთა აკლდამებს, წინაპართაგან დატოვებულ ანდერძის ძალას, მათი სისხლით მორწყულ ივერიის მშვენებას, რომ კვლავ შენს კეთილდღეობას შევწირო ჩემი აღგზნებული გული. მაშ, კვლავ გამიცინე შენი ბრწყინვალე თვალებით,

სულზე უტკბესო. თავს შემომავლე ამწვანებული გორაკები, ჩამიკარ გულში, რომ შეწყდეს ფიქრი ყოველივეზე, გარდა შენი ბედნიერებისა... კვლავ შენთან ვარ, ჩემო სულის ჩამდგმელო.”

სურამში, მწერლის მოკრძალებულ ბინაში დიდხანს ტრიალებდა შემოქმედის სული და შემდეგ, როცა ქართულმა მწერლობამ სამარადისო გზაზე გააცილა სიტყვის ოსტატი, სურამს დარჩა მისი შემოქმედება და სიამაყე იმისა, რომ საკუთარ მკერდში გამოზარდა გამოჩენილი მოღვაწე, რომლის შესახებ უთქვამთ:

,,დავით სულიაშვილს ღირსეული ადგილი უჭირავს კეთილშობილი მწერლების რიცხვში, რომლებიც თავისი ნაწარმოებებით ამდიდრებენ ხალხის გრძნობას და გონებას, აფართოებენ მის იდეურ შემეცნებას, ნერგავენ მის გულში სამშობლოს სიყვარულს, სოციალური სამართლიანობისა და ჰუმანიზმის მაღალსა და ნათელ შეგნებას”. – ლევან ასათიანი.

,,ეს შემოქმედება, ადამიანის სიყვარულით გამთბარი, ყოველთვის დაამშვენებს ქართულ ბელეტრისტიკას”. – გიორგი ჯიბლაძე.

,,იგი თავისებურად საინტერესო მხატვარია მოვლენებისა და სიტუაციების, თითქოსდა ფოტოგრაფიულ წარმოსახვაში იგრძნობა შინაგანი ,,მხატვრულობის მადანი”, რაც მისი პატიოსნური შემოქმედების სითბოს განგვაცდევინებს”. – ოთარ ნოდია.

ეს სიყვარული დიდხანს არ დაკარგულა. მისი ქალიშვილი, თინათინ სულიაშვილი, თვითონაც ცნობილი ჟურნალისტი, სურამის ხსენებაზე უჩვეულო სიამაყით ივსებოდა და ცრემლებით გამოხატავდა თავის დიდ სიყვარულს მშობლიური კუთხის მიმართ. მახსოვს, მე და თამაზ ლაცაბიძემ ახლადგამოცემული ალმანახი ,,ლიხი” რომ მივართვით სახლში, როგორ იხუტებდა გულში და როგორი დიდი სიყვარულით გვეპყრობოდა, როგორც თავისი კუთხის შვილებს. ასეთი სიყვარულით იცხოვრეს სულიაშვილებმა.

დავით სულიაშვილის სახელი და შემოქმედება ყოველთვის იქნება ხაშურ-სურამის სიამაყის საგანი.

მურად მთვარელიძე – პოეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ყველა ნათელი

მიხეილ მურვანიშვილი – კაცი, რომელმაც ლამის საქართველოს ტყეების ნახევარი გააშენა.

რომ არა იგი, სურამი, როგორც კლიმატური კურორტი, დღეს არ იარსებებდა. ბაიანთხევის, კვირაცხოვლის და გვერდისუბნის ფერდობები მთლიანად ხელოვნური ტყით არის გაშენებული. მ. მურვანიშვილმა საქართველოს რეგიონების ტყით განაშენიანებას 28 წელი მოანდომა. და ეს, ერთადერთი სიკეთე არ არის, მის მიერ დატოვებული. იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე აქტიურ საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა და ქვეყნის რომელ რეგიონშიც აგზავნიდნენ მივლინებით, იმის გარდა, რაც ევალებოდა, (ძირითადად, ტყის გაშენება თუ დაცვა), ყველგან სკოლებს და უფასო სამკითხველოებს ხსნიდა და საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრაშიც ეხმარებოდა მოსახლეობას.

სატყეო სასწავლებლის დამთავრებისთანავე, მ. მურვანიშვილი მარტყოფის სატყეოს უფროსის თანაშემწედ დანიშნეს. მაშინვე უფასო სამკითხველოები გახსნა მარტყოფშიც და საგარეჯოშიც.

ამ პერიოდში რუსეთის იმპერიის მიწათმოქმედების მინისტრის ბრძანებით გამოიცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც ყველას ეძლეოდა ტყის გაჩეხვის უფლება. მიხეილმა პროტესტი გამოთქვა ამის შესახებ და გაზეთ ,,ივერიაშიც” გამოაქვეყნა წერილი, რომ ეს დიდ ზიანს მიაყენებდა საქართველოს ბუნებას. ამის გამო, მეფის მოხელეებმა იგი თანამდებობიდან მოხსნეს და გადაიყვანეს ლორეს სატყეოში, რაც მნიშვნელოვან ჩამოქვეითებას ნიშნავდა. ამ ამბავს გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე და ,,ივერიაში” გამოაქვეყნა წერილი, სადაც იგი მ. მურვანიშვილის ღვაწლსა და თავდადებას ექომაგებოდა:

,,თუ გლეხებს რამე სჭირდებოდათ ტყიდან, მიხეილი მთავრობასთან თვითონ შუამდგომლობდა მათ. გარდა ამისა, საგარეჯოს წიგნთსაცავის გამგეობის წევრია და სულ იმას ცდილობდა, რომ გაემდიდრებინა ეს წიგნთსაცავი. ასევე, მან გლეხებისთვის იყიდა ვაზის სასხურებელი მანქანა, გოგირდის შესაბერი, რისი გამოყენებაც გლეხებს უფასოდ შეეძლოთ. ნეტა რა ავმა ენამ დააშორა ეს სასარგებლო კაცი და ხალხის გულშემატკივარი სოფელს?” – წერდა ილია.

ამის შემდეგ მურვანიშვილი ყვარლის სატყეოში გადაიყვანეს. იგი სოფელ გავაზში დასახლდა, სადაც მისი თაოსნობით ორი დაწყებითი სკოლა, ერთი ბიბლიოთეკა და წარმოდგენების გასამართი შენობა აიგო.

რადგან მ. მურვანიშვილი წარმოშობით სურამიდან იყო, სურამს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ჯერ კიდევ საგარეჯოში ყოფნისას, მან სურამში გახსნა სამკითხველო და ,,ივერიაში” გამოაქვეყნა წერილი, სადაც ითხოვდა, რომ წიგნებით დახმარებოდნენ ბიბლიოთეკას. მანამდე გამოქვეყნებულ წერილში იგი სურამის მამასახლისს ამხელდა, რომელიც ხელფასს არ უხდიდა სკოლის მასწავლებლებს.

აბასთუმნის და ბაკურიანის სატყეოში მუშაობისას მ. მურვანიშვილი სოფელ თორში დასახლდა. მისი თაოსნობით დაიწყო წყალსადენის გაყვანა, აშენდა სკოლა და გაკეთდა სოფლამდე მისასვლელი 14 კილომეტრიანი გზა – თორიდან ბორჯომამდე, რომელსაც ხალხმა მისი გზა დაარქვა.

ყველაზე დიდხანს წაღვერის სატყეოში იმუშავა – 8 წელი, სადაც სასკოლო და მასწავლებლების საცხოვრებელი შენობები ააგო, შემოიკრიბა ახალგაზრდები, დაიწყო წარმოდგენების გამართვა და შემოსული ფულით ააშენა თეატრის შენობა. მოაწყო ბიბლიოთეკა და სპორტის მოედანი. სამი კილომეტრის მანძილიდან გამოიყვანა სასმელი წყალი, აღმოაჩინა და მოაწყო მჟავე წყლის ახალი კერები. დამსვენებლებისთვის ააშენა ტყე-პარკი. მისი ინიციატივით წაღვერის საუკეთესო კუთხეში – კეჩხობში გაშენდა ტყე და აგარაკების აშენება დაიგეგმა. ნახანძრალ ადგილებზე 455 ჰექტარ ფართობზე გააშენა ფიჭვის ტყე. ასევე, მიხეილ მურვანიშვილის ინიციატივით დაიწყო არქეოლოგიური გათხრები წაღვერში, სადაც ერთი თვის განმავლობაში, ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული, თამარის ეპოქით დამთავრებული, ნივთები აღმოაჩინეს. მანვე დააარსა თესლის საშრობი ქარხანა, რომელსაც მთელ საბჭოთა კავშირში ანალოგი არ ჰქონდა. წიწოვანთა ჯიშების თესლები ტონობით იგზავნებოდა არა მარტო საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, არამედ ევროპაშიც. მ. მურვანიშვილმა მოაწყო სანერგეები აბასთუმანში, წყალტუბოში, ბახმაროში. გააშენა ტყის მასივი მცხეთასა და კასპში. შემდეგ იგი გადაიყვანეს სურამის სატყეოში, სადაც 131 ჰექტარ ფართობზე გააშენა უნიკალური ჯიშის ფიჭვი ბაიანთხევის, კვირაცხოვლის და გვერდისუბნის სერებზე.

პენსიაზე გასვლის შემდეგ პირადი პენსია დაენიშნა და საუკეთესო მეტყევეებისთვის მისი სახელობის მედალი დაარსდა.

ეპოქალური მნიშვნელობის ადამიანი – მიხეილ მურვანიშვილი გარდაიცვალა 1959 წელს. მისივე მოთხოვნით, იგი სურამში დაკრძალეს, მის მიერ გაშენებული ბაიანთხევის ტყის დასაწყისში.

ნოშრის სტუმარი

ციცინო ბაბუციძე – სამაჩაბლოელი მწერალი, პედაგოგი, 1991 წლიდან, ოსურ-ქართული ომის შედეგად, დევნილის სტატუსით თბილისში ცხოვრობს. ამიტომაც, პატრიოტულ ლირიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში.

ლექსის ბილიკით

ლექსის ბილიკით ცხინვალის გზას მივუახლოვდი,
არ მჭირდებოდა არც საზღვარი, არცა ნებართვა...
ლექსის ბილიკით ნახანძრალი ვნახე წალკოტი
და დავაბრუნე ყველა ვალი, რაც რამ მემართა!
ლექსის ბილიკით განმიახლდა ნაიარევი –
არ მომესალმა მოძმე, გვერდით რომ ჩამიარა!
არ მომესალმა! – და ტკივილმა არმოსალმების
დარდიან გულზე ასპიტივით გადამიარა!
ლექსის ბილიკით გავექეცი ძალმომრეობას,
გულამოსკვნილი ვტიროდი და მეკვროდა სუნთქვა...
და ვგრძნობდი, ჩემ წინ თანდათან რომ
ფართოვდებოდა
მოყვარე მტრისგან შეკუმშული ქართული რუკა!

სიკვდილთან ნაცეკვი ტანგო

ცას მოსწყდა გორგალი ცეცხლის,
ზღვა სისხლით ღებავდა ტატნობს!
ცეკვავდნენ ბიჭები შინდისს –
სიკვდილთან, სისხლიან ტანგოს!
თიბავდა სიკვდილი სიცოცხლეს,
სტკიოდა ჭრილობა მნათობს,
იწვოდა აგვისტო სირცხვილით,
შინდისფრად აწვიმდა ტაფობს...
ჩვიდმეტჯერ აფეთქდა შინდისს,
ყაყაჩოს ჩვიდმეტი ნაღმი!
ჭირდა გათენება დილის,
სისხლით გალეწილი ღამის...
მობეზრდა კრწანისის ველზე
ყაყაჩოს ლოდინი გმირთა –
იმ ლომგულ ვაჟკაცთა სისხლით
შინდისთან აგორდა ზვირთად!
აბორგდნენ მდუმარე ბორცვები,
წინაპართ აღმოხდათ ოხვრა:
– გამაგრდით, ბიჭებო, გამაგრდით,
მამული გვირჩება ოხრად!
ამქვეყნად ჩვიდმეტჯერ რომ გაჩნდეთ,
სამშობლოს გოჯიც არ დათმოთ!
შვილებო, ხვედრია რჩეულთა
სიკვდილთან ნაცეკვი ტანგო!
,,ჰერიო, ბიჭებო, ჰერიო,
არ გაახაროთ მტერიო“ –
შინდისის ველზე მღერიან,
ბიჭები საივერიოს!

დავიყვავილე?

დავიყვავილე? – რა მოხდა მერე,
მაინც ყვავიან სულში იები,
ჩემი ყაყაჩო ისევ მიღიმის
და თავს მიხრიან ბეგონიები...
დავიყვავილე? მერე რა მოხდა,
გაზაფხულს მაინც დაველოდები,
გადავიშლები იად, ენძელად,
თუნდაც ჩამქოლონ მძიმე ლოდებით.
დრო რას დააკლებს სიცოცხლის წყურვილს,
ღვთისგან ბოძებულს, მზისგან ნაფერებს,
გულში ჩავიკრავ ჩემს ფურისულებს,
დათალხულ აწმყოს გავიასფერებ.
დავიყვავილე? რაც უნდა მოხდეს,
ვერც შემოდგომა გადამიბირებს,
გავედევნები ქარვისფერ ფოთლებს,
მზით გადავქარგავ სევდის ნაპირებს...
არ მეშინია დაყვავილების,
რადგან ყვავიან სულში იები,
რადგან მზესავით მათბობს გვირილა
და თავს მიხრიან ბეგონიები.

უთქვენოდ

არ მინდა სხვისი ტყე უთქვენოდ,
ფიჭვებო, ნაძვებო, თელებო...
არ მინდა სამყარო უთქვენოდ,
ქართლის პაწაწინა თემებო...
არც ზღვები არ მინდა, თუ შენი
სისხლიც არ მიერთვის, ლიახვო,
არ მინდა არც ეს ცა უშენოდ,
ამ ნიავს სხვამ ხელი შეახოს...
არ მინდა ცხინვალი უთქვენოდ,
ეს დარდი როდემდე ვინახო...
სატირალი გაქვს და იდარდე,
ჩემო აჩეხილო ვენახო...
უმზეოდ ნატვრაში ვბერდები,
გავურბი ჭაღარა კაეშანს,
ოცნებას მიკენკავს ღრუბელი,
რომ ცრემლად ჩემს გულზე დაეშვას...
ჩემი მთა მეძახის, ქედები –
მარადჟამს, დღეა თუ ბინდია,
დრო მიდის... უთქვენოდ ვბერდები,
ეს გზებიც უთქვენოდ მიდიან!

ლოცვა

ჩემი სოფლის ორღობის
ნამიანო ბილიკო,
ჩემო დამტირებელო,
გაწეწილო ტირიფო...
მთების მწვანე საკინძევ,
მზის ღილებით შეკრულო,
ვაზის ლერწო, ათასჯერ
ჩაგრეხილო, ჩაწნულო...
ლურჯი იის სურნელით
გათანგულო ჭალებო,
ჩემო შარახვეტია,
ოინბაზო ქარებო...
ლიახვს გატირებულო
წყაროვ, თვალებმზიანო,
რიყევ, ჩემი ბავშვობის,
ჩემი სულის ზიარო...
ცაო ლურჯო, მაღალო,
მზით გამთბარო ნიავო,
მოთიბული ბალახის
სურნელო და შრიალო...
ციცქნა გულის სიდედევ,
ღვთისმშობელო დედაო,
ჩემი სოფლის სიმშვიდეს
გასწირავენ ნეტაო?..

უნდა გიყვარდეს

უნდა გიყვარდეს! – ვერ დაწერ ისე,
თუნდ მცირე სტრიქონს, პატარა პწკარედს...
,,ლექსი მაშინ გწერს“ თუ სიყვარული
გინგრევს საგულეს – სამოთხის კარებს!
როცა სამშობლო წიგნებით დაგაქვს,
გედავებიან სულსაც დევები,
არ შეგეშინდეს, მოკვეთ იმ ცხრა თავს,
თუ ლექსის ხმლით და ფარით შეები!
ვაჟას ნატერფალს როცა მიჰყვები
და მოგბღავიან ფშავის ხევები,
აბა, გაბედე და არ მოხვიო
მამულს, საშველად, ლექსის ხელები!
უნდა გიყვარდეს... უნდა გიყვარდეს! –
ვერ დაწერ ისე მზისფერ სტრიქონებს...
არ შევეგუოთ, არ გავატანოთ
ლექსი-სამშობლო იმ ყვავს, იმ ქორებს!
უნდა იტიროს ლექსმა ენგურთან,
უნდა იბღავლოს ლიახვთან, მტკვართან!
უნდა დავგუბდეთ! უნდა მოვზღვავდეთ
ხმლიან ლექსებით, სამშობლოს კართან!..

ცეკვავს შემოდგომა...

მეწამული ფრთებით დაჰქრის შემოდგომა,
სიზმრის ფერები აქვს მთა-გორს,
მზისფერი ხეები ურცხვად შიშვლდებიან,
ქარს ეცეკვებიან ტანგოს...
ლაღობს ქარის მკლავზე ტოტი ფერწასული,
ნიავს საიდუმლოს ანდობს,
თოვა საოცარი, თოვა ჩალისფერი
ბილიკს ყვითელ ოქროდ ადნობს...
მზით ნაქარგი მთები ნაკრძალია თითქოს,
სიო ვერ უბედავს ამბორს,
ცეკვავს შემოდგომა ქარის თითისტარზე,
მიწას ყვითელ პერანგს აქსოვს...
თოვა საოცარი, თოვა ჩალისფერი...
ათოვს გაზაფხულებს... ათოვს...
ფერით მეწამულით, ჯერაც ვერწასულით,
ცეკვავს შემოდგომა ტანგოს!

გადარჩები, საქართველოვ!

ღმერთო, ვინ არ დააპირა დამონება ჩვენი!
ვინ არ ლეწა ჩვენი ციხე, მტკიცე
ზღუდე-ბჭენი!
ღმერთი იყო, მხოლოდ ღმერთი, ჩვენი
გადამრჩენი!
რწმენა გვქონდა მტერზე დიდი, რწმენა –
ცათამბჯენი!
სისხლით გვივსეს ქვევრები და ნაცრით გვიცხეს
პური!
გვხოცეს, მაგრამ ქართულ მიწას ვერ უცვალეს
რჯული!
შეხორცდება, მიწავ, შენი დაისრული გული!
მოგშორდება მავთულხლართის მძიმე სამაჯური!
დუღს მეტეხთან მოწამეთა ცხელი სისხლის
ტბანი!
მწუხრს ანათებს ,,მსჯავრდებულთა“
ლოცვა-გულისთქმანი!
,,ალგეთს ლეკვებ იზრდებიან!“ – ისმის ყმათა
ხმანი!
გადარჩები, საქართველოვ, შენ, მცველთაგან
ხვამლის!!!

რედაქტორი ეკატერინე ბაქრაძე